

შპს „იგრიკა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს „იგრიკა“

ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ.....	3
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	4
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.....	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა.....	8
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	8
4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები.....	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	12
7. ძირითადი საშუალებები.....	12
9. კრედიტორული დავალიანება.....	13
10. შემოსავლები.....	13
11. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	13
12. საოპერაციო ხარჯები.....	13

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს "იგრიკა"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, მის მიერ წარმოებული ოპერაციების

შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 დეკემბერს.

დირექტორი

ლია რუბანოვი



18 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		164769	79392
სავაჭრო მოთხოვნები		2428215	1401812
გადახდილი ავანსები		154500	303629
მარაგები		68421	1159
სხვა მიმდინარე აქტივები		17392	8242
სულ მიმდინარე აქტივები		2833297	1794234
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		839806	732741
სულ გრძელვადიანი აქტივები		839806	732741
სულ აქტივები		3673103	2526975
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		4185	156385
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		705	235
საგადასახადო ვალდებულებები		45076	61265
მიღებული ავანსები		116008	2388
ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ			5870
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		63596	53537
სულ მიმდინარე ვალდებულებები		229570	279680
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		466334	529931
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		466334	529931
სულ ვალდებულებები		695904	809612
კაპიტალი		1642465	1126759
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1334734	590604
სულ საკუთარი კაპიტალი		2977199	1717363
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3673103	2526975

დირექტორი
ლია რუბანოვი



შენიშვნები გვერდებზე 8-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „იგრიკა“

შპს "იგრიკა"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2019	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		12511765	10188455
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (დანადგარების იჯარა)	(10625063)	(10625063)	(8885614)
საპროცენტო შემოსავალი	7500	7500	-
სხვა შემოსავალი (საჯარიმო სანქციით მიღებული)			683,62
სხვა შემოსავალი (უსასყიდლიდ მოწოდებული საქონლი)			20370
შრომის ანაზღაურების ხარჯი			2012
ცვეთის ხარჯი	(14367)	(14367)	(21506)
საპროცენტო ხარჯი	(47102)	(47102)	(40536)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/ზარალი	(46014)	(46014)	(44156)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(1007)	(1007)	(40382,94)
მოგება დაბეგრამდე	(143250)	(143250)	(52568)
		1642462	1126759
მოგების გადასახადი		(59688)	(96112)
პერიოდის მოგება/ზარალი		1582774	1030647
სხვა სრული შემოსავალი			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1582774	1030647

დირექტორი

ლია რუბანოვი



შენიშვნები გვერდებზე 8-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „იგრიკა“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს "იგრიკა"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	1251373	1591990	1717363
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	1642465	1642465
დივიდენდის გატანა	-	-382629	-382629
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	1251373	2851826	2977199

დირექტორი
ლია რუბანოვი



შენიშვნები გვერდებზე 8-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „იგრიკა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანამოცემულია ლარში

	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	7712635
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(5391575)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(10613)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(1489982)
სხვა გაწეული ხარჯები (ბანკის საკომისიო, კომუნალურები)	(9180,27)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	811285
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(290745)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(290745)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
სესხის დაფარვა	(56668)
გადახდილი პროცენტები	(46014)
გაცემული დივიდენდი	(321320)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(424002)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	2,829048
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(11161)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	79392
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	164769

დირექტორი
 ლია რუბანოვი



შენიშვნები გვერდებზე 8-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იგრიკა" შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2015 წლის 27 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 402012237. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ხორციით, თევზით, პურ ფუნთუშეულით და სხვა მზა საკვები პროდუქტებით. რეალიზაციას ძირითადად ახორციელებს საქართველოში, თუმცა მიმდინარე წელს აქვს განხორციელებული ექპორტი უზბეკეთში, აგრეთვე საქართველოსთან ერთად შაქონლის შეძენას ახორციელებს უცხოეთში. იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი დ. გივიშვილის ქ. N3, ნუცუბიძის ფერდობი, ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი 9 ბ.7.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორი ჰრის:

- ლია რუბანოვი (01030002257) - 100.00%;

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის შემდგომ (მსს ფასს) მოთხოვნების გათვალისწინებით,

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია და დამტკიცებულია 2020 წლის 18 სექტემბრის

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

აშშ დოლარი ევრო

2019 წლის 31 დეკემბერი 2,8677 დოლარი 3,2095 ევრო

2018 წლის 31 დეკემბერი 2,6727 დოლარი 3,0597 ევრო

3.2 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, და ვალდებულებას საწარმოს პერსონალის მიმართ.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

3.4 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა თანხით.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა 20 წელი

- მანქანა-დანადგარები 5 წელი

- კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა 5 წელი

- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5 წელი

3.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.8 სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.12 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

3.13 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებულიან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

3.14 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3.15 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრისა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული საღაროში	6	113
ეროვნული ვალუტარეზიდენტბანკში	165070	85149
ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ	(307)	(5870)
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	164769	79392

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	2428215	1401812
სულ სავაჭრო მოთხოვნები:	2428215	1401812

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდგომში საოფისე ფართის რემონტისთვის.

	31.12.2019	31.12.2018
მასალები	68421	1159
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	68421	1159

7. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	შენობები	ავტო და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2018		809230	4400	813630
შეძენა	142348	7113	4707	154168
ჩამოწერა				
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	142348	816343	9107	967798
ცვეთა				
საწყისი 31.12.2018		80815	75	80890
ცვეთა	4290	41174	1638	47102
ჩამოწერა				
საწყისი 31.12.2019	4290	121989	1713	127992
საბალანსო ღირებულება 31.12.2018		728415	4325	732740
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	138058	694354	7394	839806

8. კრედიტორული დავალიანება

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	156385	4185
სულ კრედიტორული დავალიანება	156385	4185

9. შემოსავლები

	2019	2018
საქონლის მიწოდებიდან	12511765	10188455
(დანადგარების იჯარა)	7500	
სხვა შემოსავალი :		
საჯარიმო სანქციით მიღებული შემოსავალი)		20370
(უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი)		2012
სულ შემოსავლები:	12519265	10210837

10. შრომის ანაზღაურების ხარჯი

	2019	2018
შრომის ანაზღაურების ხარჯი		
თანამშრომლების შრომის ანაზღაურება	14367	21506
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	14367	21506

11. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	48915
კომუნალური ხარჯები	297
საპენსიო გადასახდელი	80,82
საოფისე ინვენტარის ხარჯი	95
ქონების გადასახადი	7881
საკონსულტაციო ხარჯი	250
საქონლის ინსპექტირება ლაბორატორიული შემოწმება	8241
კომუნიკაციის ხარჯი	744
დაზღვევის ხარჯი	859
ბანკის საკომისიო	8226
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	67661
	143,250